საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 4 18 00189125

21/02/2018

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)
ვიცე-დირექტორს ბატონ პაატა გაფრინდაშვილს
ელ. ფოსტა: nanovero71@gmail.com

ბატონო პაატა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის N146867; 12.02.18) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების თანახმად2017 წლის 1 იანვრიდან მასწავლებელთა სახელფასო ზრდა განხორციელდება სქემის შესაბამისად, კერძოდ: ა) უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში, ნაცვლად 180 ლარისა განისაზღვრა 320 ლარით; ბ) წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში, ნაცვლად 270 ლარისა, განისაზღვრა 500 ლარით; გ) მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში, ნაცვლად 400 ლარისა განისაზღვრა 700 ლარით.

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 24 იანვრის N02/ნ ბრძანების თანახმად 2018 წლის პირველი თებერვლიდან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში, ნაცვლად 500 ლარისა, განისაზღვრა 700 ლარით, ხოლო მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში, ნაცვლად 700 ლარისა განისაზღვრა 1000 ლარით.

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანების თანახმად, თანამდებობრივი სარგო უტოლდება 405 ლარს.

ასევე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ საჯარო სკოლებში ჯამში დასაქმებულია 57938 მასწავლებელი (პრაქტიკოსი მასწავლებელის რიცხოვნობა შეადგენს 41007-ს, უფროსი მასწავლებლის -

16730-ს, წამყვანი მასწავლებლის - 194-ს, მენტორი მასწავლებლის - 7-ს), ამასთან, სერტიფიცირებულია 14096 პედაგოგი.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ნინო გაბრიელაშვილი